საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/27

ქ. ბათუმი 24 თებერვალი, 2020 წ

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შრომის დისციპლინის უზრუნველყოფისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 5 ნოემბრის N01-08/51 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის მე-2, მე-7, მე-8 მე-19-20 მუხლებისა და ბსუ-ს შიდა აუდიტის სამსახურის მონიტორინგის სპეციალისტის მადონა შავიშვილის 2020 წლის 20 თებერვლის MES 7 20 00220778 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შრომის დისციპლინის უზრუნველყოფისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 5 ნოემბრის N01-08/51 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 7. ამ ბრძანების აღსრულების მიზნით განხორციელდეს ელექტრონული ტაბელის მონაცემების ანალიზი თვის დასაწყისიდან ყოველ 15 დღეში შემდეგნაირად:

ა) ბსუ-ს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მონაცემების - ადამიანური რესურსების მართვის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და შიდა აუდიტის სამსახურების მიერ ერთობლივად;

ბ) ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაცემების - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და შიდა აუდიტის სამსახურების მიერ ერთობლივად."

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად ჩაბარდეს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, შიდა აუდიტის სამსახურს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**